№ 112 მაისი 29, კვირა 1888 მაისი 29, კვირა № 112

# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

დღეს, 29 მაისს,

მეორედ არის დანიშნული წარმოდგენა ფეერიისა:

**ყარამანი**

დაიწყება სწორედ 8 საათზედ და ანტრაქტები ბევრად უფრო შემოკლებული იქნება.

ჩაერთვის ახალი სცენა ზღვის-კაცთა და გამოყვანილნი იქმნებიან სამთავიანი დევები.

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო

**წიგნი**

სუთი ამბავი,

ან. თუმანიშვილისა.

ფასი სამი შაური.

იყიდება ტფილისში: ჩარკვიანის მაღაზიაში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში ქუთაისში — ქილაძეების მაღაზიაში, გორში — ცხვედაძის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში-კი კერძო კაცებთან. იქვე იყიდება „მოლაღური“. (10—2)

რადგან 20 მაისისათვის დანიშნულს წლიურ საერთო კრებაზე «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა» კანონიერი რიცხვი წევრთა არ მოვიდა და ამის გამო კრება ვერ შესდგა, ამიტომ, თანხმად საზოგადოების წესდების მე-15 §-ისა, ხელმეორედ არის დანიშნული წლიური საერთო კრება წევრთა აღნიშნულის საზოგადოებისა კვირას, 29 მაისისათვის, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1887 წელს;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაზე 1888 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა;

დ) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრებისა;

ე) მოხსენება გამგეობისა, რომ ანგარიშისათვის მიღებულ იქმნას სამოსწავლო წელიწადი სექტემბრიდგან სექტემბრამდე და საზოგადო კრება მოხდეს ხოლმე ოქტომბრის განმავლობაში. (5—5)

წევრნი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისანი მოწვეულ არიან წლიურ საზოგადო კრებაზე, რომელიც იქნება კვირას, 29 მაისს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ნაშუადღევის 1 საათზედ.

საგანნი განსახილველნი:

1) ანგარიში საზოგადოების 1887 წ. მოქმედებისა;

2) ანგარიში ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მოქმედებისა 1887 წელს;

3) მოხსენება ს. ა. გერმიშოვისა: „გლეხთა ოჯახობის თაობაზედ ამიერკავკასიაში“;

4) მოხსენება ვ. დ. ინანაშვილისა მოკრეფა და გაწურვა ყურძნისა 1887 წ. სან-მიხელის სამეურნეო სკოლაში სამხრეთ ტიროლში;

5) არჩევანი საზოგადოების საბჭოს ერთის წევრისა.

კრებაზედ ნება აქვსთ დაესწრნენ არაწევრთაცა.

ტფილისი, 28 მაისი

დიდი ხანია, რაც რუსეთშიაც და ჩვენშიაც მებატონეების მამულები თან-და-თან წვრილმანდება, ხელიდგან ეცლება თავიანთ პატრონებს და სხვა წოდების წარმომადგენელთა ხელში გადადის; საქმე იქამდის მივიდა, რომ მრავალი, ოდესმე მდიდარი და სახელოვანი, გვარეულობა, რომლებსაც გარდა ეკონომიურის შემძლებლობისა, ხელთ ჰქონდათ დიდი გავლენა და მნიშვნელობა, დღეს თითქმის სრულიად დაცემულა და მხოლოდ ჩრდილი-ღაა თავიანთ დიდებულ მამა-პაპათა. ამ გარემოებას მრავალი ისტორიული და ეკონომიური საბუთი აქვს, მაგრამ იმათ, ვინც ამ საბუთებმა ასე თუ ისე დასჩაგრეს, არ შეუძლიანთ მოურიგდნენ ხსენებულს გარემოებას, რომელიც იმათ დიდებას და მნიშვნელობას აკარგვინებს. თავად-აზნაურობამ იცის, რომ ამ საბუთების გაუქმება უოვლად შეუძლებელი საქმეა, და არც ფიქრად მოუვა ამ გვარი აზრი, ხოლო სცდილობს ისეთი რამ ღონე იღონოს, რომლის საშუალებით შესაძლო იქნება თავი დააღწიოს გაღატაკებასა და განადგურებას.

რა ღონე მოიხმარა რუსეთის თავად-აზნაურობამ იმისათვის, რომ მამულებიც შეირჩინოს და წოდებრივი საზოგადო მნიშვნელობაცა? თავად-აზნაურთა ზოგიერთ კრებებმა დაადგინეს ვითხოვოთ, მმართებლობამ ისეთი კანონი შემოიღოს, რომლის ძალითაც მამული არ უნდა დანაწილდეს, რაკი დანიშნულს ზომამდე მიაღწევს, ესე იგი რაკი დადგენილი იქნება, რომ ერთს სახლობას უნდა ჰქონდეს, მაგალითად, არა ნაკლებ ათასის ან ორი ათასის დღიურისა, მამული არ უნდა განაწილდეს მემკვიდრეთა შორის, არამედ უნდა მიეცეს მხოლოდ ერთს მემკვიდრეთაგანს; დანარჩენი მემკვიდრეები-კი უნდა დარჩნენ უმიწა-წყლოდ. ამ საშუალებით, თავად-აზნაურობის აზრით, შესაძლებელია მამულების შერჩენაცა და წოდებრივის მნიშვნელობის დაცვაცა.

ამ აზრს ადგა, სხვათა შორის, პოლტავის გუბერნიის თავად-აზნაურის მარშალი, რომელმაც თავისი აზრი აცნობა სხვა კრებებსაც. ეს აზრი განიხილა გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებამ და კიდევაც დაეთანხმა პოლტავის საგუბერნიო მარშალს. გორის მაზრის თავად-აზნაურობამ ეს აზრი წარუდგინა საგუბერნიო კრებას, რომელმაც ეს საგანი გადასცა განსახილველად და გამოსაძიებლად ცალკე კომისიას, რადგანაც მეტად რთულია და ეხება არა მარტო თავად-აზნაურობის ვითარებას, არამედ მრავალს მხარეს ცხოვრებისას. სწორედ დიდად სასიამოვნოა, რომ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება ეგეთის სიფრთხილით მოეპყრო მეტად რთულს საქმეს, რომელზედაც დამოკიდებულია ყველა წოდებათა და მთელის ქვეყნის ავ-კარგიანობა.

პოლტავისა და ზოგიერთ სხვა გუბერნიების სათავად-აზნაურო კრებათა მიერ შეწყნარებულს აზრს, თუ-კი ოდესმე დაკანონებული იქმნა, აი, რა შედეგი მოჰყვება: რაოდენობით დიდ-ძალის თავად-აზნაურობის მაგიერ გვეყოლება რიცხვით მცირე წოდება, რომლის ხელში მოქცეული იქნება საუკეთესო მიწა-წყალი. ამ მიწა-წყლის არც გაყიდვა შეიძლება და არც გაყოფა, თუნდაც მამულის მფლობელს მამულის გაძღოლა არ შეეძლოს და სურვილი ჰქონდეს სხვა რომელსამე საქმეს მოეკიდოს და სხვაფრივ და სხვაგან ეძიოს კეთილდღეობა და ბედნიერება. ასეთი მიწათ-მფლობელი იძულებული იქმნება ძალა-უნებურად მამულს შესცქეროდეს, რადგანაც, თუ მიტოვება მოინდომა, ყოველივე უფლება უნდა დაჰკარგოს მამულზე. ამ გზით ამ გვარი მემამულე თვითონაც გზას შეიკრავს და გზაზე ეღობება იმასაც, ვისაც მიწა ესაჭიროება და ფეხ-მოსაკიდებელი ადგილიც არა აქვს. ამ გვარი მემამულე, აღჭურვილი ყველა იმ უფლებითა და უპირატესობითა, რომელსაც მიწის მფლობელობა იძლევა, არ წარმოადგენს თვით-მომქმედს ეკონომიურს ძა-

# ფელეტონი

## მცირე შენიშვნა

### „ოთარაანთ ქვრივის“ გამო.

### IV

თავის სასიქადულოდ და ქვეყნის ტკივილთა დასაამებლად, მთავრობამ შეიწყნარა ყმათა განუსაზღვრელი წვალება, მიემხრო გლეხთა გულის ძგერასა, გაანთავისუფლა დამონებული არსება ყმისა და იცნო იგი ყველასთან სწორადა. ბატონ-ყმობა გადავარდა. „სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხდა დასანგრევად მონებისა“ და ღმერთმაც „ეს ხმა ტკბილი გაგვაგონა ჩვენს მამულშიაც“. გლეხს აუსრულდა გულის წადილი, შეესწრო იმ დროს, როდესაც იგი ეკუთვნოდა მხოლოდ თავის თავსა და სხვას არავის. იმას სურვილს აღარ ედო ბაჟი, რომელიც ხანდისხან სიცოცხლეად დაუჯდებოდა ხოლმე, იმის განზრახვას აღარა ჰქონდა ამოღებული აღვირი, რომელიც არა თუ მარტო კბილებს, ყბებსაც თან გაიტანდა ხოლმე.

მე არ ვიტყვი, ვითომც ბატონ-ყმობის გადავარდნას სრული ნეტარება მოეტანოს გლეხისათვის. არა, გლეხს ჯერ კიდევ ბევრი აკლდა და დღესაც აკლია, რომ შეეძლოს უტკივარი ცხოვრება. მაგრამ ისიც ძალიან დიდი რამ იყო, რომ გლეხი კანონმა თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და აღიარა ადამიანად, რომელსაც ვეღარავინ დაეპატრონება და ვერ დაისაკუთრებს. გლეხს ეხლა თავზედ აღარავინ ედგა დოგა-დოგად და აღარ შეეძლო იმის უნებური რამ გაეკეთებინებინა. ბორკილი აეხსნა გლეხის სურვილსა. ამასთანავე განთავისუფლდა თვით შრომა და გარჯა. კანონმა უთხრა გლეხსა — აქამდის რაც უნდა გაგეკეთებინა, თითქმის ყველაფერი სხვისა უნდა ყოფილიყოო; დღეის ამას იქით-კი, რასაც მოიმოქმედებ, ყველაფერი შენია, ვერავინ წაგართმევს კანონის ძალით, მხოლოდ ეცადე-კი, რომ არავინ მოგატყუილოს და კანონს თვალი არ აუბას შენს საზარალოდაო.

ამისთანა ტკბილ სიტყვების გამგონე გლეხი, გუშინდელი შებოჭილი ყმა, დღეს ერთი ათად იქცა. მოისვა თავზე ხელი, დაიმკლავა და ღონით შეუდგა თავის საგლეხო საქმეებსა. თუ გაირჯებოდა, ლუკმა პურსაც იშოვნიდა, — ხელს არ გაანძრევდა კიდე-და, მაინც ძალის დამტანი არავინა ჰყავნდა. უმეტეს შემთხვევაში თავისი ბრალი იქნებოდა, შეიძენდა რასმესა, თუ მშიერ-მწყურვალე დალევდა სიცოცხლესა.

ამ გარემოებას სრულებით უნდა გამოეცვალნა ფერი ბატონისთვისაცა და ყმისთვისაც, და სწორეთ ასეც მოჰხდა. ამასთანავე, რადგანაც ჩვენი ხალხი მამულ-დედულისა და ხვნა-თესვის ხალხია, რადგან ქალაქებს თითქმის ჯერ მარტო გარეგანი ზედ-მოქმედება აქვს ჩვენს ბედზე, ამიტომ ბატონ-ყმობის გადავარდნას მოჰყვა ისა, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება ძირეულად გამოიცვალა, გაიკვლია ახალი გზა, ხელში მოგვცა ახალი ფარ-ხმალი თავის გასატანად, სხვაფრივ დაატრიალა ჩვენი ჭკუა-გონება, სხვა, ახალი აზრი ჩაგვიდვა თავში, ახალის, აქამდე უცნობის, გრძნობებით აგვივსო გული, უფრო შეუპოვარის და თამამის სიტყვებით აგვიჭიკჭიკა ენა და ამ სახით გამოგვიყვანა ასპარეზზე სავარჯიშოდ.

მას აქეთ აგერ ოც წელიწადზე მეტი შევისრულდა. მაშინდელი თავისუფლად დაბადებული ბალღები დღეს ვაჟკაცები შეიქმნენ, მათს თავისუფალს პირი-სახეს ამშვენებს გაწკეპილი ულვაშები და იტაცებს არა ერთისა და ორის საპატარძლოდ გამზადებულ გოგოების თავისუფალს გულსა. ერთის სიტყვით, დავაჟკაცდა მთელი თაობა გლეხთა შვილებისა და ისინი-კი, ვინც ყმობაში გატარა თავისი ყმაწვილ-კაცობა, დღეს უკვე ადგილსა და პატივს უთმობენ თავიანთ ბედნიერს შვილებს.

**

ყველასათვის, ვისაც-კი გულზედა აქვს მოჭიდებული ქვეყნის ავი და კარგი, ვისაც ახარებს ქვეყნის ბედნიერება და აღონებს იმისი დარდი, დიდად სანატრელია იცოდეს, რა მოაქვს ქვეყნისათვის ბედნიერსა თუ უბედურს შემთხვევას, ანუ რა მოიტანა უკვე ამისთანა შემთხვევამა და რის მოლოდინი უნდა გვქონდეს კვლავაცა. ამიტომ მე დაჯერებული ვარ, რომ ჩემი მკითხველი ჩემთან ერთად იკითხავს, რა შედეგი მოუტანა ჩვენს ცხოვრებას ყმების განთავისუფლებამ, რა ზნე და როგორი ხასიათი დასჩემდა გლეხსა, რითი შეიარაღდა ცხოვრებაში ის ქართველი, რომლის დედ-მამა აქამომდე გლეხის ჩაგვრითა სცხოვრობდა. იქნება ჩემმა მკითხველმა სხვა უფრო სრული წყარო იპოვნოს ამ საკითხავის პასუხად, მაგრამ მე-კი ჩემად უნდა ვაღიარო, რომ არ მეგულება იმაზე უკეთესი პასუხი, რომელსაც იძლევა მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ ამ საგანზე.

ბ-ნი ჭავჭავაძე კვალში ედგა ჩვენს ცხოვრებას ჯერ მაშინ, როდესაც ბატონ-ყმობა გაცხარებული იყო, კვალში ჩაუდგა მაშინ, როდესაც ბატონ-ყმობამ ფამფალი დაიწყო და საძირკველი მოურღვია, კვალში სდგომია მაშინაც, როდესაც ბატონ-ყმობისა დარჩა მარტო საძაგელი ხსოვნა და თითო-ოროლა გულის ასამღვრევი ნაშთი, რომელიც ჯერაც-კი უშლის წოდებათა შორის ჩატეხილ ხიდის გამთელებას. „ოთარაანთ ქვრივიც“ საბუთია იმისი, რომ ბ-ნ ჭავჭავაძეს არ გამოჰპარვია მაჯის ცემა ქართველის ცხოვრებისა, რომ ავტორის ყურადღება მთლად მიქცეული ყოფილა ჩვენის ერის ვითარებაზე, უკვლევია და უსწავლია ამ ოცის წლის განმავლობაში ჩვენი ავ-კარგიანობა, ჩაუხედნია ქართველის გულში და იქიდამ ამოუკითხნია ჩვენი ვინაობა, ჩვენი გულის-პასუხი, ჩვენი საიდუმლო, ჩვენი დაფარული განზრახვანი და ერთი ბეწო მოთხრობაში დაუხატავს მთელი ბედი ჩვენის დღევანდელის ავისა და კარგისა.

თუმცა თვით ეს მოთხრობა მე მიმაჩნია ისეთ საყურადღებო საგნად, რომელიც ყოვლად ღირსია ბეჯით და დაწვრილებით განხილვისა, მაგრამ პირველი ესა, რომ ამისთვის საჭიროა გაცილებით მომეტებული ღონე და მკლავი, ვიდრე ჩემი, და მეორეც ისა, რომ მე ჩემს თავს ამ ხელად ნება მივეცი მელაპარაკნა მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივის“ გამო და ამიტომ დაეჯერდეთ, ჩემო მკითხველო, მარტო ამ მოთხრობის გამო საუბარსა და თვით მოთხრობის შესაფერი განხილვა-კი მიეანდოთ იმათ, ვინც უფრო მომეტებულის გაბედულობისა, ცოდნისა და აზრისანი გამოჩნდებიან ქართველებში.

**

თანახმად ამ გარდაწყვეტილებისა გადავავლოთ მოკლედ თვალი, რა ხასიათები შეუქმნია ჩვენს ცხოვრებას, შემდეგ განთავისუფლებისა, გლეხობაში თუ თავადობაში.

როგორც იცით, ავტორის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია თვით ოთარაანთ ქვრივზე. გთხოვთ, მოიგონოთ ჩემი შენიშვნა შესახებ „გლახის ნაამბობისა“. ავტორს ცხოვრებაში შეხვდა მარაბდელ არსენას მგზავსი კაცები, დაგვიხატა კაკო ბლაჭიაშვილი, დაგვიხატა გაბრიელი, როგორც ნამდვილი კაცი ჩვენის ცხოვრებისა, და თანაც მოიწადინა, რომ აეხსნა ჩვენთვის, თუ რამ დაჰბადა ასეთი კაცი. რადგანაც თვით ცხოვრებაში ვერა ნახა ის ნაკადული, რომლიდამაც გამომდინარებდნენ გაბრიელი და კაკოები, დაგვიხატა სურათი მღვდლისა.

სრულებით სხვა გვარადა სწერს იგივ ავტორი „ოთარაანთ ქვრივსა“. აქ უფრო ეტყობა, რომ ავტორს იმედი აქვს თვით ცხოვრების შემოქმედობისა და მხოლოდ გვეკითხება, რა ძალ-ღონით უნდა ემოქმედნა ბუნებას, რომ დაეწნა ასეთი ხასიათი, როგორსაცა ვხედავთ ჩვენ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ზნეობაშიო. უეჭველია, ავტორს თითონ უფრო

ლას, რომელმაც უნდა აწარმოვოს ქვეყნის ძალ-ღონე და სიმდიდრე, და ზოგჯერ უნებურადაც უნდა დასჯერდეს მცონარე ცხოვრებასა.

ეხლა ვიკითხოთ, რა მოუვიოდდათ იმათ, ვისაც კანონი მემკვიდრეების უფლებას ჩამოართმევდა. ესენი იძულებულნი იქმნებოდნენ ხელი აეღოთ მიწასა და მეურნეობაზე, თუნდაც სურვილი და შნოც ჰქონოდათ მამულის გაძღოლისა და ისეთს რასმესთვის მოეკიდნათ ხელი, რაიცა არც მათს ძალ-ღონეს შეშვენის და არც მათს სურვილსა და მიზიდულებას; ისინი გარემოებათა გამო იძულებულნი იქმნებოდნენ იქ მოეკიდნათ ფეხი, სადაც ლუკმაპურის შოვნის იმედი ექმნებოდათ, და ეს რამდენად ძნელი მოსახერხებელია, ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. რათა ისინი მამა-პაპეულის პამულის გარეშე მოეწყონ და ცხოვრებაში ადგილი დაიმკვიდრონ, ამისათვის საჭიროა, რომ თვით ოჯახმა რაიმე გაატაროს და როგორმე ხელი შეუწყოს. არა, რას მისცემს მამა-პაპეული ოჯახი, რომელიც ისე არ არის მოწყობილი, რომ მხნე და გამრჯელი, სწავლა-განათლებით აღჭურვილი კაცი მოამზადოს და ასე გზა დაულოცოს. რუსეთის ზოგიერთს თავად-აზნაურებს კარგად სცოდნიათ, რომ შვილების დამოუკიდებელის ცხოვრებისათვის მომზადება და კარგს გზაზე დაყენება თავად-აზნაურობას არ ძალუძს, და ამასთანავე ისიც არ დაუვიწყნიათ, რომ იმათ შვილებისათვის მზრუნველი და პატრონი არის საჭირო. ზოგიერთის თავად-აზნაურების აზრით, ამ გვარი პატრონი და მზრუნველი მართებლობა უნდა იყოს; მართებლობა უნდა გაუძღვეს უპატრონოდ დაგდებულს ნაწილს თავად-აზნაურობისა, უნდა იზრუნოს იმათს აღზრდასა და განათლებაზე და გზა უნდა გაუკვალოს სახელმწიფო სამსახურისაკენ, ესე იგი, იმათი ძალ-ღონე მართებლობამ უნდა გამოიყენოს და ულუკმა-პუროდ არ დააგდოს. თავად-აზნაურობას, როცა ამ გვარს აზრს დასდგომია, დაუვიწყნია, რომ მართებლობა ვალდებულია იზრუნოს არა რომლისამე წოდებისა და დასისათვის, არამედ მთელის ერისათვის და ქვეყნის ყოველ მხრივ წარმატებისათვის. მართებლობა სცდილობს, და ვალდებულიც არის, რომ ცხოვრების სარბიელზე ადგილი დაუთმოს იმას, ვისაც მოხერხება და მხნეობა შესწევს, ვისაც თავისი იმედი აქვს და არა სხვას შესცქერის ხელში. უამისოდ ხომ მოუხერხებელია თვით სახელმწიფოს წარმატება, რადგანაც თუ ვინიცობაა ერთ-ერთს წოდებას ან დასს მიეცა უპირატესობა, დანარჩენი ნაწილი ერისა დაიჩაგრება და, მაშასადამე, იმისი ნიჭი და ღონე გამოუყენებელი დარჩება.

როგორც ჰხედავთ, პოლტავის თავად-აზნაურობის მარშლის აზრის დაკანონება ყოვლად უსარგებლო იქნება თვით თავად-აზნაურობისათვის; ამ ნაირივე იქნება იგი აზრი სხვა წოდებათათვისაც, რომელთაც მამულების შეძენის საშუალება მოესპობოდათ. თვითოეული წოდება იძულებული იქმნებოდა საკუთარს ქერქში მოქცეულიყო და ამ ნაირად თავისი ძალ-ღონე სრულიად არ გამოეყენებინა. ერთის სიტყვით, ის აზრი, დაკანონებული რომ იქმნას, მთლად შეჰკრავს ეკონომიურს ვითარებას ქვეყნისას და, მაშასადამე, ბოლოს მოუღებს ეკონომიურს წარმატებასაც. აქედგან ცხადია, სასურველია თუ არა პოლტავის თავად-აზნაურობის მარშლის აზრის შეწყნარება. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ შეიგნო, რომ ეს აზრი ეხება მრავალს მხარეს ცხოვრებისას და არჩეულმა კომისიამ ამის მიხედვით უნდა განიხილოს და გამოიძიოს დავალებული საგანი.

ჩვენ შევეხეთ აქ მხოლოდ რამდენსამე მხარეს აღნიშნულის საგნისას, რადგანაც რაც მოვიხსენიეთ, ვგონებთ, ისიც საკმარისია იმ აზრის ბუნების გამოსარკვევლად.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ბ-ნმა გიორგი საძაგლიშვილმა შემოსწირა «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წიგნთ-საცავს შემდეგი ხელთ-ნაწერები:

1) ლეილ მიჯნურის ამბავი, სპარსულიდგან ქართულად გადმოთარგმნილი მეფის თეიმურაზისაგან, სასმენელად მშვენიერი;

2) გოჩაიანი;

3) იბულ ღუფარ ალმაზოჰი, ანუ ვითარ სათანადო არს სჯაი ერთა თვისთა ზედა (მოთხრობა);

4) მეფე არჩილის დაწერილი ლექსები;

5) ბესიკის ლექსები?

6) ლექსთა წყობილებაზედ;

7) აპოკრიფიული მოთხრობა ღვთისმშობელზედ;

8) ბაქარ ბატონიშვილის ლექსები.

9) მეფის ასულის მარიამის წამება (ლექსი).

«წერა-კითხვის საზოგადოება» მადლობას უცხადებს შემომწირველს.

*** კვირას, 29 მაისს, დანიშნულია მეორეჯელ წარმოდგენა ფეერიისა „ყარამანი“.

*** კვირასვე, 29 მაისს, დანიშნულია ალექსანდრეს ბაღში სეირნობა და ლატარია-ალეგრი ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ.

*** საზოგადო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა კვირის მაგიერ დანიშნულ იქმნა ორშაბათისათვის, 30 მაისს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ.

*** დღეს უკვე მეოთხე დღეა, რაც ტფილისში რუსეთიდგან ფოსტა არ მოგვსვლია. ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველოს სამხედრო გზა გაფუჭებულა და ჯერ არ შეუკეთებიათ.

*** სოფ. ხოვლე (გორის მაზრა): მომეტებულმა წვიმებმა და სიცივეებმა ლამის მთლად წაგვიხდინოს ყანები. აგერ 24 აპრილიდგან მოყოლებული თითქმის ყოველ დღე ავდრობს. გუშინ ისეთი ავდარი მოვიდა, რომ ატყდა ნიაღვრები და ჩვენი მშვიდი და წყნარი მდინარე, ხეხმელა, ისე გადაირია, რომ, სადაც ვენახებთან ჩამოდის, სულ ღობეები დაგლიჯა და ერთი ნერგი აღარ გადაარჩინა, მთლად წაიღო. უნდა მოგახსენოთ: ეს წყნარი და მშვიდი ხეხმელა ზაფხულში ისე პატარაა ხოლმე, რომ აქაურებს ერთმანეთში ჩხუბი მოსდით წყალზედა. თუ მართლა ასეთმა წვიმებმა თიბათვეც გასტანეს, მაშინ მოსავლის იმედი სრულიად უნდა დავკარგოთ.

*** თიანეთის მაზრა: 25 მაისს სოფ. ცხვარი-ჭამიაში და იმის მინდვრებში ისეთი საშინელი სეტყვა იყო, რომ მთლად თავთავ-ამოლებული ყანები ერთიანად ჩარეცა და დედამიწას გაუსწორა. სოფ. ამტნის ხევის მამულებშიაც იყო სეტყვა, მაგრამ ბევრი არა აზარალა-რა.

*** 1 თიბათვიდამ დაარსდება აველაბარში თავ-შესაფარი ციმბირში გაგზავნილთა შვილებისათვის. ამ თავ-შესაფარის ზედამხედველად დანიშნულია, როგორც ამბობს გაზ. «Нов. Обоз.»-ე, ქალი მ. ნადიოჯინისა.

*** თიბათვის დამდეგსვე, როგორც ამბობენ ტფილისის გაზეთები, დაიწყება გარჩევა ქალის ნიკიფოროვის საქმისა პეკარსკის მოკვლის გამო.

*** „Тиф. Лист.“-ს სწერენ გორიდამ, რომ ადიდებულმა მტკვარმა გააფუჭა გორის რკინის ხიდი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქვემო იმერეთი (ქუთაისის მაზრა), 13 მაისი. სწორედ მოგახსენოთ, წელს ჩვენში ვერ ჩაიარა მშვიდობიანად დღესასწაულებმა. გუშინ გასდგათ დღესასწაული ოქონობა სოფელს მაღლაკში. გვეგონა, ეს თემობა მაინც მშვიდობით ჩაივლიდა, მაგრამ მოვსტყუვდით. მაღლაკში ა-

უკეთესად შეუძლიან პასუხი აგოს ამ საკითხზე, მაგრამ, როგორც იმ დღეს მოგახსენეთ, ავტორი ნამდვილს ხელოვნებაში მას აქეთ გაცილებით წინ წავიდა და ესმის, რომ თვით სურათების ხერხიანი შეხამება საზოგადოდ უფრო მეტს ეუბნება მკითხველის სულსა და გულს, ვიდრე დალევა და მით გაქარწყლება რომელისამე ცხოველის აზრისა. დეე, მკითხველმა თითონ იფიქროს, „რა გვარისტით შეჰკრა ბუნებამ“ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ხასიათი, როგორ დაწნა იმათი ზნე. თუ მკითხველმა თითონ მიაგნო ბუნების ამ გვარ შემოქმედობას, ხომ რა კარგი, არა-და, ისიც კაი ღვთის წყალობაა, როდესაც დაინახავს, რომ ამისთანა ხასიათები თითოოროლა კაცის ზედ-მოქმედებას-კი არ გამოუწვევია, არამედ თვითონ ჩვენს ცხოვრებას შეუქმნია და ამიტომ ეს ჩვენი ცხოვრება ისეთის ღირსებისა ყოფილა, რომ ჰღირს კაცმა გონების თვალი გაახილოს და იკვლიოს თავისი გარემო წრეო.

ავტორი არას გვეუბნება ოთარაანთ ქვრივის ყმაწვილობაზე, მაგრამ მკითხველს თვითონაც ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს, რა გარემოებაში დაიბადა ეს ადამიანი: მაშინ ბატონ-ყმობა გაჩაღებული იყო ჩვენში და ჰშხამავდა გლეხის სულსა და გულს, და თუ ოთარაანთ ქვრივს დაეტყო შემდეგში რაიმე შხამი და გესლი, ეგ არის მხოლოდ შედეგი ადრინდელის მწარე ცხოვრებისა. ადრე დაქვრივდა ეს ადამიანი, ჯერ ისევ ყმაწვილი იყო. ქმრის შემდეგ დარჩა პატარა ბიჭი გიორგი, საკმაო მამულ-დედული, სახნავ-სათიბი და ვენახი. ბატონ-ყმობა გადავარდნილი იყო და ოთარაანთ ქვრივი ჰხედავდა, რომ თუ გულზე ხელს არ დაიკრეფდა და იმხნევებდა, იმოდენას ამოიღებდა თავის მამულ-დედულიდგან, რომ თითონაც იცხოვრებდა, შვილსაც გამოზრდიდა და ამით „პირნათლადაც გამოვიდოდა“ საიქიოს თავის თედოსთანა. ასეც მოიქცა ოთარაანთ ქვრივი, მოიდრიკა მუხლი პატიოსან შრომის წინაშე და შეუდგა მუშაობას.

„თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

„— თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, ამბობდა ხოლმე: მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზე? თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ორი ფეხი აქვს და მეცა. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!.. რა საპყარი და დავარდნილი მე მნახეს!..“

სხვათა შორის თქვენა ჰხედავთ, რომ ოთარაანთ ქვრივი, ხასიათსაც რომ თავი დავანებოთ, ქალების ემანსიპაციაშიაც-კი გაცილებით ღონიერი ყოფილა, მინამ აგრედ წოდებული დღევანდელი ნასწავლი ქალი, რომელიც მარტო ენითა საქმობს და როცა მართლა საქმეზე მიადგება ჯერი, ღობე-მძვრალასავით მიიმალება სადმე საკუნჭაო ადგილას. ჰო-და, ოთარაანთ ქვრივმა ჩაჰკიდა ხელი მუშაობას, ირჯებოდა ისე, რომ ბევრი წვეროსანი ჩამოარჩებოდა ამ ადამიანსა, ირჯებოდა იმიტომ, რომ არავისი მუნათი არ დაედო და აგრეთვე იმიტომ, რომ მტკიცედ შეენახა განძი და შეესრულებინა ანდერძი თავის საყვარელის ქმარისა.

**

თუ გლეხს აქამდის შრომა და გარჯა მიაჩნდა რაღაც მძიმე ტვირთად, რომელსაც ატარებდა ისევე უნებლიედ, როგორადაც დღეს ატარებს შინაური, პატრონისაგან მოძულებული, პირუტყვი, ეხლა იგივ შრომა მიიჩნია წმინდა მოვალეობად, რომელიც აყვარებს თავსა და ახალისებს ადამიანს. ოთარაანთ ქვრივსაც შეუყვარდა შრომა და იქამდე შეუყვარდა, რომ ყოველი უქმი კაცი თითქმის ჰკირივითა სძაგდა. მიზეზიც ეს იყო, რომ თუმცა გულ-კეთილობა დასძლევდა ხშირად და მოწყალებას გამოამეტებინებდა, მაგრამ ვაი იმისი ბრალი, ვისკენაც ოთარაანთ ქვრივი თავის მოწყალე ხელს გაიშვერდა:

„—აჰა, ხეთქეო, ეტყოდა ხოლმე: დაგილია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ—აცა გამოხრულს ძვალს გადმომიგდებსო. შე საცოდავო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმა პურის შოვნის უნარი-კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ისინი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!..“

ასეთს „პილპილს აყრიდა მადლსა“, რომელსაც ოთარაანთ ქვრივი ჩაიდენდა, და სწორეთ რომ გითხრათ, არ ვიცი, რა უფრო სჯობდა შეწყალებულთათვის—მადლი თუ პილპილი. მცონარა და უქმი კაცი ვერ გაიგებს აზრს ოთარაანთ ქვრივის პილპილისას და იტყვის: შე კარგო დედაკაცო, შენი არც არა შეწყალება მინდა და არც არაფერი, ოღონდ თავი დამანებე, ნუ მლანძღავ და ნუ მათრევო. მაგრამ ოთარაანთ ქვრივს კარგად ესმის და იცის, რასაც ამბობს. ამისთანა დედაკაცი უანგარიშოდ როდი დაჰხარჯავს სიტყვასა. იგი წარმომადგენელია შრომისა და კარგადაც ესმის, რომ შრომას მეტი ვერა ჩაუდგამს-რა იმას სულსა, ვერა მისცემს-რა თავისუფალს, ტკბილსა და უკვედურს ლუკმას, შრომია მეტი ვერა დაჰბადებს-რა მისთვის კმაყოფილებასა და დამოუკიდებელს ცხოვრებას. ეს ჩააგონა ახალმა ცხოვრებამ, ეს გაუჯდა ძვალსა და რბილში და სწუხს, ჯავრობს, როდესაც ჰხედავს, რომ იმისმა ტოლმა და სწორმა თანაბრად ვერ გაიგო ახალი დრო, ვერ მიუხედა ჯერ იმ ძალას, რომელსაც აძლევს შრომა გამრჯე ადამიანსა. და ვერ დაახწია თავი სხვის ხელთა შემაყურებლობას. ძრიელის ხასიათის რწმენა მაინც ის არის, რომ კაცი უნდა ერეოდეს გარემოებასა და არა გარემოება კაცსაო. ოთარაანთ ქვრივს დაავიწყდა, რომ ბევრი ისეთი გარემოებაა, რომელსაც ცალკე კაცი, ჰქონდით გინდაც რო შეეჭიდოს, მაინც ვერას გაჰხდება, მანამ მთელი კრებული არ შეეჭიდება და ამ გარემოებაზე უდიდესის ძალით არ გაუწევს წინააღმდეგობას. მაგრამ ოთარაანთ ქვრივს ეპატიება ასეთი ცალმხრივი ყურება საგნისა. აქამდის ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ თავისუფლების მეტი არა უნდა-რა კაცსა, რომ ცხოვრებას არ გაუთელინოსო. ეს აზრი ძალაზედ უნდა გასჯდომოდა ოთარაანთ ქვრივსა და რაც ამისთანა ადამიანს ერთხელ გაუჯდება თავში, იმისი ამოფხვრა თითქმის შეუძლებელი-ღაა.

ალბათ იქნება შვილისა და ქმრისა, რო გაეთხოვედეო, ეგონა ოთარაანთ ქვრივსა, და ეს ახალგაზდა ყმაწვილი ქალი შეაბერდა თავის აზრსა და თუმცა მთხოვნელნი ბევრნი ჰყვანდნენ, მაგრამ იმან ახლოც არავინ მიიკარა.

ყველაზედ შესანიშნავი-კი ოთარაანთ ქვრივში არის დედა-შვილობა. დამოუკიდებლობა, შრომა, გამრჯელობა შეადგენდა აზრს ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლისას. ხოლო თვით ამ აზრს ძალას აძლევდა და ფრთებს ასხამდა შვილის სიყვარული. გიორგი უდგამდა სულს ოთარაანთ ქვრივსა, გიორგის ევლებოდა თავსა ეს დედაკაცი, გიორგი იყო იმისი სული და გული, გიორგიზე ამოსდიოდა მზე, გიორგი იყო იმისი ვარსკვლავი. შრომისთვისაც იმიტომ ერჯოდა გული, სიცოცხლეც იმიტომ უნდოდა, რომ გიორგი გამოეზარდნა, გიორგისათვის ენაღვლა და ეზრუნა ყველაფერი, რაც-კი იმის აზრით გიორგის გამოადგებოდა ცხოვრებაში. შეემთხვა უბედურება, მოუკვდა გიორგი ამისთანა დედასა და თითონაც თან გადაჰყვა. ბევრი იტყვის—თუ მართლა ხასიათიანი და ძრიელი დედაკაცი იყო ოთარაანთ ქვრივი, უნდა კიდეც აეტანა ასეთი მძიმე უბედურებაო. მაგრამ საქმე ის არის, რომ რაც უნდა მშვენიერი და მკვიდრი შენობა იყოს, თუ საძირკველს გამოუნგრევ, შენობაც მთელის თავის მშვენიერებით ძირს დაემხობა და დაიმსხვრევა. სწორედ ასე დაემართა ოთარაანთ ქვრივსა. ამას გამოეცალა ხელიდამ საგა-

მომდე ჩხუბი ნაკლებად იცოდნენ სათემოზედ, მაგრამ წელს-კი ერთმა თავადმა ჩ—მ დასჭრა ხანჯლით თავისი ძმა და ერთიც აქაურივე გლეხი, გვარად კოსტავა; ძმის დასჭრა თითონ არ სურებია, უეცრად მოახვედრა ხანჯალი მაჯაში. ხოლო მეორე, კოსტავა, დაჭრილია თავში და იმისი ჭრილობა ცოტათი უფრო მძიმეა. თავ. ჩ—ები მოსახლობენ სოფ. გუბში, აქვე სუთის ვერსის მანძილზედ ესენი შემდეგ კოსტავას დაჭრისა გაემშურნენ ცხენით თავიანთ სოფლისაკენ; ბევრი ხალხი დაედევნა უკან, უნდოდათ, რომ როგორმე ამოეღოთ სამაგიერო. ხალხმა დაუშინა ქვა ჩ—ს და იმის ქომაგებს, მაგრამ მაინც უშველეს თავს. ზოგს მკითხველებს ეცოდინებათ, რომ სოფელი მაღლაკი სულ რიყის ქვით არის მოფენილი და ქვის სროლის დროს ქვის საძებრად არ გამცდარან. ჩხუბი ამ თემობაზე არც წელს იქნებოდა, მაგრამ არეული იყო ცხენოსანი და ქვეითი ხალხი ეკლესიის გალავნის გარეთ, რადგანაც ძველი ეკლესია დანგრეულია და ახლისათვის მასალა გალავანში აწყვია ხოლო აქამომდე ეკლესიის გალავანში შეეძლოთ შესვლა მხოლოდ ქვეითთა კაცს და გალავანს გარეთ რჩებოდნენ ცხენოსნები და კარგი დაწყობილი თემობაც იცოდნენ.

7 და 8 ამავე მაისს გახლდათ დიდჯიხაიშს ქაშვეთობა. აქ-კი ორს დღეს იციან თემობა და სწორედაც ამისთანა მხიარული თემობა ძვირია მთელს ქვემო მხარში; ამ თემობაზე ერთობ ძვირად იცოდნენ ჩხუბი. აქაურს თემობას ამკობს, გარდა სიმღერისა და ცეკვა-თამაშისა, მამა-პაპური ჯირითი, მარულა და ბურთი. ორივე დღემ აქ მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ მეორე დღეს საღამოს, როცა ხალხი შინისაკენ მიემშურებოდა, შელაპარაკდნენ ერთი ვინმე კ—ი და თავ. გ. წ—ე. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ წ—ემ ლეკური ამოიღო. ამ დროს მიეშველნენ ნათესავები და უნდოდათ ლეკურის წართმევა. მაშინ უეცრად მოხვდა იმის ბიძას დ. წ—ეს ლეკური მუცელში და დაიჭრა. დაჭრილმა მეორე დღეს სული განუტევა. 6-ს მაისს იყო სოფ. კულაშში ახალის კვირის თემობა. მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ დიდად აღარ ჩამოუვარდება კულაშელი ახალ-კვირობა ქაშუეთობას, ჩხუბი კულაშში უფრო ხშირია. წელსაც მოუვიდათ აქ ჩხუბი აქაურსავე მ—ებს ერთ გურულ ნაკაშიძესთან. თუ არა ვცდები, სამი მ—ძე დაიჭრა და გურულმა უშველა თავს, გაჰკურცხლა შინისაკენ. დაჭრილები ეხლა კარგად და მშვიდობიანად არიან. ეს ამბავი ამას წინად თქვენს გაზეთშიაც იყო მოკლედ მოხსენებული.

დ. ქ—ველი

## მორიგი კრება

### ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.

(დასასრული *)

შემდეგ სასკოლო საქმის ფულის გაწერისა კრებას მოხსენდა განაჩენები სხვა-და-სხვა კომისიებისა, რომელნიც წინა კრებათაგან ამორჩეულნი და დავალებულნი იყვნენ. ერთს კომისიას მინდობილი ჰქონდა ტფილისის გუბერნიის გამიჯვნის საქმე იმ აზრით, რომ რაიმე ღონის-ძიება აღმოეჩინა გამიჯვნის საქმის უკეთ და მსწრაფლად მსვლელობისათვის. ამ კომისიის განაჩენი იყო შემდეგი: 1) მიწის-მზომელნი (Землемѣры) გამრავლებულ იქმნან, რათა ერთსა და იმავე დროს ბევრგან მომზადდეს საქმე გამიჯვნისათვის; 2) გამიჯვნის საქმეზედ დანიშნულ მსაჯულთა რიცხვი მოემატოს და გამიჯვნისათვის დავალებულნი მსაჯულნი სხვა სასამართლო საქმეებისათვის არ იყვნენ ხოლმე მიწვეულნი, რის გამოც ხშირად ბრკოლდება თვით გამიჯვნის განსამართლების საქმეები, რადგანაც სხვა საქმეებს აკეთებენ და გამიჯვნის საქმეებისათვის ვეღარ იცლიან; 3) გამიჯვნა დაწყებული ერთს ადგილას სანამ არ დასრულდეს, სხვა ადგილას არ გადადიოდეს. კრებამ ეს განაჩენი მიიღო და დაადგინა ამაზედ შუამდგომლობა მოხდეს მთავრობის წინაშე.

მეორე კომისიის განაჩენი იყო, რომ სთხოვონ მთავრობას ტფილისის გუბერნიაშიაც გამართულ იქმნას განუყოფილება სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა. გარდა ამისა აქაურ სახელმწიფო ბანკის განყოფილებას მიეცეს ნება აძლიოს თავად-აზნაურთა სესხის-ხოლო ვექსილებითა. კრებამ ეს განაჩენიც მიიღო და დაამტკიცა. რაც შეეხება ხიზნების საქმეს და დროებით ვალდებულ გლეხთა საქონლისათვის საძოვრებისა და სამეურნეო სკოლების გამართვას, ყველა ამ საგნებზე კომისიას საჭიროდ არ დაუნახავს რაიმე შუამდგომლობა, რადგანაც თვითონ მთავრობა უამისოდაც აწარმოებს ამ საგნებზე საქმეს და უკვე ზრუნავს აღსრულებაში მოყვანისათვის. ამ განაჩენს კომისიისას არ დაეთანხმა კრება და დაადგინა, რომ თვითოეული მათგანი ვრცლად გამორკვეული და გამოძიებული იქმნას და ისე ხელ-ახლად წარუდგინოს მთავრობას.

წინა კრებათაგან ამორჩეული იყო კომისია, რომელსაც დავალა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საჭიროებას შეუფერის ყრმათა სწავლების საქმე ტფილისის გუბერნიაში და განაჩენი თვისი კომისიას პირდაპირ გარდაეცა მარშლისათვის მთავრობისათვის წარსადგენად. თანხმად ამ დადგენილებისა გუბერნიის მარშალს გაეწია შუამდგომლობა წინაშე შინაგან საქმეთა მინისტრისა, სწავლა-განათლების მინისტრისა, უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორისა და სამხედრო სასწავლებელთა მთავარ-გამგებელისა, და ყველა ამ შუამდგომლობაზე უარი მიეღო. კრებამ მოითხოვა, რომ თვით განაჩენი ამ საგნებზე და შუამდგომლობა მარშლისა წაეკითხათ. წაკითხული დიდის ტაშის ცემით მიიღო კრებამ და დაადგინა: გსწუხვართო უარის მიღებაზე. შემდეგ ერთ-ხმად მადლობა გამოუცხადა გუბერნიის მარშალს და თვით კომისიას ჯეროვანის შრომისა და მეცადინეობისათვის. კრებამ დაადგინა, ეს გარემოება და მადლობა პროტოკოლში ჩაწერილ იქმნასო. ამით გათავდა 22 მაისის კრება.

23-ს მაისს მოხსენდა კრებას, თუ რა შედეგი მოჰყვა შუამდგომლობას „პრიკაზის“ ვალების თაობაზე. რადგანაც ხელმწიფე იმპერატორს უნებებია და უკანასკნელის მინისტრის მოხსენებაზე პრიკაზის ვალების გამო საკუთარის ხელით დაუწერია: სამწუხაროდ აქ მართლა აღარა შეიძლება-რა იქმნასო, კრებამ დაადგინა პრიკაზის ვალების თაობაზე ყოველივე შუამდგომლობა ამას იქით მოისპოს. შემდეგ ამისა წაკითხულ იქმნა პროტოკოლები გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებისა შემდეგის საგნების გამო:

1) ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სახელით არავითარი შეღავათი პრიკაზის ვალების გამო არ ეთხოვოს მთავრობას;

2) ახალი კანონები ტყეების დაცვისა და მოვლისათვის ტფილისის გუბერნიაშიაც გავრცელებულ იქმნას;

3) თავად-აზნაურთა მიწებზე განზრახული მახთა გადადებულ იქმნას იმ დრომდე, ვიდრე მამულები გაიმიჯნება.

დიდი ბაასი და საუბარი გამოიწვია პოლტავის გუბერნიის მარშლის პროექტმა იმის შესახებ, რომ თუ მამული ოთხასს დესიატინაზე მეტი არ არის, ერთ-ერთს შვილს გადაეცეს და ამით მამული განაწილებისაგან დაცულ იქმნას. პოლტავის გუბერნიის მარშალი ამასთანავე იწერებოდა, რომ ამ საგანზე შუამდგომლობა წარდგენილია მთავრობის წინაშე, და ითხოვდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მომხრეობას. ბაასი ტრიალებდა იმაზე: ეხლავე გამოვუცხადოთ თანაგრძნობა და მივემხროთ, თუ ჯერ კარგად გამოვიძიოთ ბუნება ამ საგნისა, კარგად შევიტყოთ ამის ვითარება და მაშინა გსთქვათ ჩვენი აზრიო. კრებამ გადასწყვიტა, რადგანაც ეს საგანი მეტად რთულია და შეეხება მრავალს მხარეს ცხოვრებისას, მიენდოს ცალკე კომისიას გამორკვევა ამ საგნისა და მერე თავისს დროზე მოხსენდეს გუბერნიის კრებას. ამისთვის კრებამ კომისიაც ამოირჩია.

სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა კრებისაგან წარმოდგენილ იქმნა სარჩელი, რომ თავად-აზნაურობასაც გლეხის თანასწორად მიეცეს ნება სახელმწიფო საძოვრები იჯარით აიღონ ხოლმე თავიანთ საქონლისათვის.

გუბერნიის მარშალმა ყურადღება მიაქცია იმაზედ, რომ დეპუტატთა კრებულის სახარჯო ფული თავის დროზე და თითქმის სრულებითაც არ შემოდისო, და ითხოვა რაიმე ღონის-ძიება მივიღოთო. აქ ბევრმა გამოაცხადა სამდურავი მასზედ, რომ არავინ არ იცის, ვინ რა უნდა შეიტანოს, სად, რა დროს და ამ ფულის შემოუსვლელობა ამ უწესობას უნდა მიეწეროსო. კრებამ გუბერნიის მარშალს დაავალა: გუბერნატორს სთხოვეთ ამ

*) იხ. „ივერია“ № 111.

---

ნი არსებობისა, საგანი ცხოვრებისა, ჩაწყდა შინაგანი ძალა, რომელიც აძლიერებდა ადამიანს, აყვარებდა შრომასა და სიცოცხლეს. რაღა დარჩა ნაცვლად? რისთვის და ვისთვის-ღა ყოფილიყო ქვეყანაზე და ეტკბინა დედამიწა! ოთარაანთ ქვრივისთანა ადამიანს შეუძლიან იცხოვროს დედამიწაზე მხოლოდ რისთვისმე ან ვისთვისმე. ამისთანა ადამიანი უნდა ემსახურებოდეს ან რომელსამე საქვეყნო აზრსა, ანუ, თუ აზრი იმისთვის მიუწვდომელია, რომელსამე საყვარელს კაცს. ოთარაანთ ქვრივს-კი აღარ დარჩა ისა, რისთვისაც სული ედგა გვამში, ვის მზესაცა ლოცულობდა აქამომდე, დღისითა თუ ღამით. გატყდა რკინასავით მაგარი დედაკაცი და თან გადაჰყვა შვილის უბედურებასა.

**

ამ სიმაღლემდე აიწია დედის სიყვარულმა ერთის ვიღაცა სოფლის დედაკაცისამ! სხვაგანაც შეჰხვდებით დედა-შვილობას, მაგრამ ასეთი უანგარო, ასეთი სუფთა და მასთან ამ ზომამდე ღრმა გრძნობა შეგხვდებათ მარტო დღევანდელ სოფლის ცხოვრებაში, ისიც გლეხთა შორის.

ამისთანა დედის ხელში გამოზრდილი შვილი, რა თქმა უნდა, შემკული იქნებოდა ხასიათის ღონით, სითამამით და გრძნობათა სიფაქიზით. პატარაობითვე ჩაგონებული ჰქონდა მართალი და არც გადაუხვევდა ამ გზასა; ტყუილს ცხოვრებაში გასავალი აღარა ჰქონდა და ამიტომ ვისაც-კი ერთი ბეწო ნიშან-წყალი დაჰყოლოდა, იგი ტყუილს აღარ იკადრებდა, აღარ შეირცხვენდა პირს ტყუილებითა. მართლის მოყვარეობა გიორგისა იქამდე ცნობილი და შემოწმებულია მთელს სოფელში, რომ როდესაც სოფლის სასამართლოში საჩივარია შემდგარი გიორგიზე, გლეხები იძახიან—რა ვუყოთ, რომ მოწამე არ არის, თითონ გიორგისა ვკითხოთ და ის ხომ ტყუილს თავის დღეში არ იტყვისო. გიორგის ჩვენების სიმართლეში ერთსაც არ შეუტანია ეჭვი. სიმართლესთან ერთად გიორგის უყვარს შრომა ისე, როგორც შეჰფერის იმის მშობლებისთანა შვილსა. გიორგი სოფლის შვილია, უყვარს სოფლური საქმე და პირუტყვი, რომელიც თავისის ჯაფით ლუკმა პურს აჭმევს პატრონსა. ამიტომაც გიორგი წინ არც-კი დაიხედავს, თუ გაჭირდა, ძალა იხმაროს უქმს კაცზე, რომელსაც არა თუ საქმისათვის არ ერჯის გული, არამედ თავის სიზარმაცით საქონელსაცა სტანჯავს და აწუხებს. ერთის სიტყვით, გიორგიში გამოიხატნენ ისეთი თვისებანი, რომელნიც დღევანდელ დღეს საჭიროა სოფლის კაცისათვის, რომ შეიქმნას პატივცემულ კაცად თავის სწორ-ამხანაგობაში. გიორგიმ იცის საქმის ფასი, შრომის ყადრი და ამიტომ ყველა წანახედი, თავისი იქნება თუ სხვისა, ერთნაირად ეწუხება და ვაი წამხდენის ბრალი, თუ ხელში ჩაუვარდა გიორგისა! ღირსეულის დედის პატივისცემა ხომ იქამდე გამჯდარი აქვს გულში, რომ თუმცა ეხლა თითონ ჭკვიანი და თაოსანი კაცია, მაგრამ მაინც ოჯახის უფროსობაში არ ეცილება დედასა, რადგან იცის, რომ ოთარაანთ ქვრივი თუ არ შეჰმატებს, არას დააკლებს ოჯახსა.

ერთის სიტყვით, მოკლეთ რომ მოვსჭრათ ჩვენი გძელი სიტყვა, გიორგი არის გულით პატიოსანი, მართლის მოყვარე, დარბაისელი, ხასიათიანი სოფლის ახალგაზდა, რომელიც არ შეუშინდება არც ერთს საქმეს, თუ-კი შესწევდა იმისი ჭკუა და მკლავი. გიორგი ჰგავს ყამირსა და ღონიერს მიწას, რომელიც იმდენად უფრო აყვავდება და გამშვენდება, რამდენად უკეთესი გუთნის დედა შეიტანს უკეთესს გუთანსა და დასთესს უკეთესს მარცვალს,—ისეთს ყამირს, რომელსაც ხელს უწყობს უხვი ბუნება და რომელსაც ვეღარა სჯიჯგნის, სჩჩავს და ასახჩრებს ვეღარც უხერხული ღუარსაბობა, ვეღარც უდარდელი დათიკოობა. ამისთანა ყამირ მიწას ან სრულებით არ უნდა ახლოს ხელი კაცმა, თუ-კი ვერ შესძლებს შესაფერს მოვლას, ან თუ ახლებს, უთუოდ კიდეც უნდა შესწევდეს ღონე და იმედი, რომ კი არ გააფუჭებს, უკეთესს ნაყოფს გამოატანინებს.

გიორგის არ გამოუჩნდა არც ცუდი და არც კარგი გუთნის დედა. გიორგის აღარა სტანჯავდა გაბრიელის მომხიბლავი ფიქრები, იმას აღარ ატკიებდა გულსა გლეხთა უნუგეშო ყოფა ბატონ-ყმობისა. არც სული ჰქონდა ნასეტყვი, არც გული ჰქონდა დაკოდილი. იგი იყო გულითაცა და სულითაც საღი, თავისუფალი შვილი თავისუფალ ბუნებისა და მშვენიერი, როგორც თვით ბუნება, რომელმაც უხვად დააბერტყა ზედ თავისი კალთა.

აქ მკითხველს მოაგონდება ლაზათიანი სურათი გიორგისა მოთხრობიდამა და საყვედურით წამოიძახებს: ვინ რას ამბობს, რომ მართლაც დიდად მოსაწონი და ძალუმი ბიჭია გიორგი და რა უსამართლო იყო მხატვარი, რომელმაც ეს ჩინებული ახალგაზდა გადაჰკიდა ისეთს გრძნობას, რომ უთუოდ ფეხი უნდა მოსტეხოდა გიორგის მშვენიერებას, ეს გრძნობა გაუზიარებელი უნდა დარჩომილიყო და გიორგიც უნდა მოედნიდამ გასულიყო ძალა-უნებურად, ან უნდა მომკვდარიყოო.

მე და თქვენ რომ დაგვეკითხებოდა, ჩემო მკითხველო, ავტორი, იქნება გიორგი დღესაც ცოცხალი ყოფილიყო, შეერთო თავისავით სრული გლეხის გოგო და ბედნიერად ეტარებინა ცხოვრება თავისი. მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ავტორი დაგვეკითხა ჩვენა და არც ცხოვრება, რომელმაც უთუოდ მოიწადინა და გიორგის შეახვედრა კესო. ამ შეხვედრას მოჰყვა ისეთი სიყვარული, რომელიც შეუძლიან მხოლოდ მაღალ გრძნობით მიმადლებულ ადამიანს, უჭკუჰყოსა და სუფთას. ალბად ისეთის თვისებისა ნახა გიორგიმ კესო, რომ ღირსადა სცნო თავის სიყვარულისა. ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ პირველი და უკანასკნელი გრძნობა სიყვარულისა გამოიწვია კესომ. როგორ მოხდა, სად შეემთხვა და რად მოჰხდა ეს ასე, ეს ყველამ თავისათვის წარმოიდგინოს, თუ ეხალისება. საქმე მომხდარი ამბავია და კრიტიკამაც მხოლოდ ეს ამბავი უნდა იქონიოს სახეში.

ოთარაანთ ქვრივს, მართალია, ბევრი კარგი გაუგონია არჩილსა და კესოზე, მაგრამ ისინი მაინც უქმი ხალხი ჰგონია და მაღლიდამაც დაჰყურებს იმათ, ისე მაღლიდამ, რომ სათაკილოდაც-კი მიაჩნია, როდესაც კესო მუხლზე ხელს დაჰკრავს ნიშნად მოწონებისა. იქნება თვით გიორგისაც ასეთისავე თვალით ეყურნა ამ დაძმისათვის, რომ სიყვარული არ ჩარეულიყო, მაგრამ აგერ გაემჭვალა გიორგის გული ამ დიდებულის გრძნობით და ვეღარა უშველა-რა თავსა. იმდენად ჭკვიანი ბიჭია, რომ ჰხედავს განსხვავებას თავისა და შეყვარებულის შორის, კიდეც დიდხანს ებრძვის თავის თავსა, მაგრამ ამ ბრძოლითაც არა ეშველა-რა. თუ სრულს ბედნიერებას ვერ მოვახერხებ და შეუძლებელია, იმას მაინცა ვიქ, რომ ჩემი მზე ხშირად დავინახოო. ამ განზრახვით დაუდგა არჩილს მოჯამაგირედ. მოჯამაგირობა სათაკილო იყო იმისთანა ოჯახის შვილისათვის, მაგრამ გიორგი ჰხედავდა, რომ იმისი სიყვარული მსხვერპლსა თხოულობს, და თავისი სიამაყე მსხვერპლად შესწირა ამ დიდებულს გრძნობასა. ვინ იცის, რამდენს ხანს შესძლებდა გიორგი თავის გრძნობის მალვას, იქნება ბოლოს მაინც გამოეცხადებინა თავისი სიყვარული, მაგრამ აშკარაა, რომ ეს გამომჟღავნება მაინც არას მოუტანდა გიორგის სახეიროსა, უარი აუცილებელი იყო და ამ უარს უნდა ჰქონოდა ისეთივე ბოლო, როგორიც ოთარაანთ ქვრივს მოუვიდა შემდეგ გიორგის სიკვდილისა. ამიტომ მოთხრობის აზრისათვის აუცილებელი იყო გიორგის უბედურად გასვლა მოედნიდამ. ჩემის აზრით, ავტორმა ხერხიანად აიცილა თავიდამ ეს საჭიროება და გიორგი მოაკვლევინა შემთხვევას, რომ ამით ეს საჭიროებაც დაეკმაყოფილებინა და თვით მოთხრობის პირველი პირიც, ოთარაანთ ქვრივი, ეჩვენებინა ჩვენთვის შემდეგ შვილის დაკარგვისა.

სანი

ფულის შეკრებისათვის შესაფერი ზომა მიიღოსო.

მერე კრებამ მოისმინა სათხოვარი პელაგია და ნატალია ლედანაშვილებისა მასზედ, რომ იმათი ქმრები, ციმბირში გაგზავნილნი პოლიციის მოხელეთა წინააღმდეგობისათვის, შეიწყალოს და უკანვე დააბრუნოს მთავრობამ, რადგანაც ტყუილად შეწამებულნი არიანო. კრებამ შეიწყნარა ეს თხოვნა და დაადგინა შუამდგომლობა გაეწიოს.

ბოლოს წარმოდგნენ კრების წინაშე წარმომადგენელნი მთელის გვარის გალაჯოვებისა, რომელნიც ბელაქანში სცხოვრობენ და მოახსენეს, რომ მთელი ჩვენი გვარეულობა წარმომდინარებს თავადიანთ გვარისაგან; თვით ვაჩნაძეებმა ფიცით მოწმობა მოგვცეს ამაზედ, სხვა ოქმებიცა და სიგელებიც გვაქვს და ამიტომ ვსთხოვთ საგუბერნიო კრებას იშუამდგომლოს, რათა ჩვენ ჩვენი გვარი დაგვიბრუნდეს და შერიცხულ ვიქმნათ თავადიანთ შთამომავალთა შორისო. კრებამ დაადგინა, რომ ამათაც შუამდგომლობა გაუწიოს. ამას შემდეგ არჩევანები დაიწყო და რითაც გათავდა არჩევანები, უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა.

◆◆

## წოდება
თუ
### წოდებათა განურჩევლობა.

ამას წინად ზემოდ მოხსენებულ საგანზედ წაიკითხა პეტერბურგის იურიდიულს საზოგადოებაში თავისი მოხსენება იურისტმა არსენიევმა. ბ-ნმა არსენიევმა ჯერ ის აზრი დაამტკიცა, რომ რუსეთის მთავრობა იმ თავითვე სცდილობდა, ფრთები შეეკვეცნა ერთის რომელისამე წოდების ბატონობისათვის სოფლის საზოგადოებისა და თემის მმართველში და ამ საქმისათვის წოდებრივი ხასიათი წაერთმიაო, და მერე ასე განაგრძო:

მას შემდეგაც, როცა თავად-აზნაურთ ბოძამათ წყალობის სიგელი ანუ გრამატა,—მას შემდეგაც ხშირად ისმოდა საჩივარი, რომ თავად-აზნაურთ არჩევანები უწესოთა ხდება და თვით მაზრათა მმართველი უხერხულიაო. უფრო ცხადად გამოირკვა მაზრათა მმართველის ნაკლულევანებანი მაშინ, როცა ერობისა და სათემო მმართველობის შემოღება დააპირა მთავრობამ. სხვა-და-სხვა კომიტეტები, რომელნიც მაშინ იყვნენ შემდგარნი, სრულიად ვერ ასრულებდნენ თავის დანიშნულებას. ამ მიზეზით ის კომისია, რომელიც დაწესდა ერობის დებულების შესადგენად, დარწმუნდა, რომ თუ თითოეული წოდება ცალკე ამოირჩევს თავის წარმომადგენელთ, ქვეყნის ინტერესები კანონიერად ვერ იქმნება დაცული იმ წარმომადგენელთაგანაო. კომისიამ გადასწყვიტა, რომ უმჯობესი იქმნება მკვიდრნი დაყოფილ იქმნან ჯგუფ-ჯგუფად და თითოეულმა ჯგუფმა ისე აირჩიოს წარმომადგენელი, რომ ამ სახით მთელის ქვეყნის, ანუ თემის ინტერესი წარმოსდგეს სისრულით, საცა ჯერ იქმნებაო. ამასთანავე კომისია ითხოვდა მაშინ, რომ თავად-აზნაურთათვის ორჯელ ნაკლები ცენზი დაინიშნოს, ვიდრე იმ ამომრჩეველთათვის, ვინც თავად-აზნაურობის წოდებისა არ იქმნებაო. ამაზე დიდი კამათობა ასტყდა. ეგ თანაბარობის უარ-ყოფა იქმნებაო, სთქვეს სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა და მეორე განყოფილების მთავარ-მმართველმა, ბარონ კორფმა. სახელმწიფო საბჭო უფრო შორს წავიდა და გამოაცხადა, რომ გუბერნიის მარშალს არ უნდა ჰქონდეს ნება ორგვე თავ-მჯდომარეობისაო: სათემო გამგეობაში და სათემო კრებაზე (Земская Управа и Земское Собраніе). ამასობაში თავად-აზნაურობასაც გამოუჩნდა მომხრე და დამცველი. ეს მომხრე და დამცველი იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო და ცოტა არ იყოს სამინისტრომ თავისი გაიტანა კიდეცა. რაიცა შეეხება თვით თავად-აზნაურობას, ეს თავად-აზნაურობა სამ დასად გაიყო: ერთი ამბობდა, რომ თითოეულმა წოდებამ აირჩიოს ცალკ-ცალკე თავისი წარმომადგენელნიო, მეორე უმრავლესი დასი ამტკიცებდა, რომ აზნაურთა და არა-აზნაურთა შორის ყოველი გარჩევა უნდა მოისპოს და საზოგადოდ წოდებათა განურჩევლობა უნდა შემოვიღოთო, ხოლო მესამე უმცირესი დასი ამბობდა, რომ თავად-აზნაურობას ცალკე უფლებანი და პრივილეგიები უნდა მიენიჭოსო. მაშინდელი მწერლობა (კატკოვის „Моск. Вѣд.“-ი და აქსაკოვის გაზეთი „День“-ი) ამტკიცებდა წოდებათა განურჩევლობას საერო, ანუ სათემო დაწესებულებაში. აქსაკოვი იცავდა ამავე დედა-აზრს 1870 წელსაც, როცა კვლავ ჩამოვარდა ბაასი და კამათობა თემისა და მაზრის წოდებრივს მმართველ-გამგეობაზე. სწორედ მაშინ შესდგა ესრედ წოდებული კახანოვის კომისია და ამ კომისიაში მცოდნე კაცნიც იყვნენ მოწვეულნი. ამ კომისიამ სრულიად უარ-ჰყო წოდებრივი საფუძველი სამაზრო და სათემო მმართველ-გამგეობისათვის. მაშინ ახალი სარჩიელი წამოაყენეს კიდევ: ჯგუფ-ჯგუფად მკვიდრთა დაყოფა ნამაღადევი საქმეა და არა ბუნებური. მკვიდრნი უნდა დაიყონ ისე, როგორც წოდებით არიან დაყოფილნიო. უნდა შესდგეს ცალკე კრებანი 1) ტახტისა და კერძო აზნაურთა, 2) ვაჭართა და საპატიო მოქალაქეთა, 3) ესრედ წოდებულ მეშჩანებისა და 4) გლეხთა საზოგადოებათა და გლეხთა მემამულეთაო. ამას გარდა უნდა განსაკუთრებული ვენჯი და ხმა მიეცეს დიდ-მემამულეებსაო. ბ-ნმა არსენიევმა დიდხანს ილაპარაკა ამ პროექტის წინააღმდეგაც და ამტკიცებდა, რომ ვერც ამ პროექტის ძალით შეიძლება, რომ წოდებრივი საფუძველი დაცულ იქმნას რიგიანადაო. არსენიევი ამბობდა, რომ დიდი გარჩევა და განსხვავებაა ტახტის აზნაურთა და პირად აზნაურთა შორის, როგორც განათლებისა, ჩამომავლობისა და გვარიშვილობის მხრივ, ისე ინტერესების მხრივაცაო. ამ პროექტით სასულიერო წოდებას ვერც ერთს ზემოხსენებულს ოთხ ჯგუფთაგანს ვერ მივაკუთნებთ, თვით გლეხთა შორისაც-კი სხვა-და-სხვაობაა ინტერესებისაო.

არსენიევმა განიხილა ყველა ამ გვარი პროექტები და სთქვა, რომ აზრი მათი იყო ცალკე ჯგუფად დაესახათ როგორმე თავად-აზნაურობაო. თავად-აზნაურობას დიდი ღვაწლი მიუძღვისო, განაგრძო რეფერენტმა, — მაგრამ იმისი სურვილი ცალკედ ყოფნისა უსაფუძვლო მგონია. ამბობენ, ვითომ თავად-აზნაურობამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა სიღარიბის გამოვო. ციფრებით შეიძლება დამტკიცდეს, რომ ეს ასე არ არის და დღესაც თითქმის ყველა თემსა და ერობაში თავად-აზნაურობას მეტი მნიშვნელობა აქვს. ვსთქვათ რომ მართალია და თავად-აზნაურნი უკანუკან იწევენ, ღარიბდებიან და ჰკარგავენ მნიშვნელობას. ეს გარემოება მაინც საბუთი არ არის, რომ საერო და სათემო დაწესებულებანი გადავასხვაფეროთ, გადავაკეთოთ და დღევანდელი იმისი სამართლიანი დავანგრიოთ და დავარღვიოთ. მეორეც ეს, ჩვენში ისე ცოტანი არიან თავად-აზნაურნი, სულ 114,000, რომ მარტო თავად-აზნაურს რომ ჰქონდეს ნება სათემო მმართველ-გამგეობაში მონაწილეობის მიღებისა, საკმაონი არ იქმნებოდნენ.

შემდეგ რეფერენტმა შეადარა ერთმანეთს სათავად აზნაურო და საერო, ანუ სათემო კრებანი და სთქვა, რომ სათავად-აზნაურო კრებამ ამ უკანასკნელს ხანებში ერთად არაფერში არ გამოიჩინა თავიო. სათემო და საერო კრებებმა-კი, სადაც თავად-აზნაურნიცა და არა-თავადაზნაურნიც ერთად სხდიან და ჰზეიქრობენ თავიანთ საერთო მაზრის საკეთილდღეოდ, ბევრი კარგი საქმე გააკეთეს და აკეთებენ, როგორც, მაგალითად, საქმე სწავლა - განათლებისა, სამკურნალოთა მოწყობისა, დამშეულთა შემწეობისა, გზათა გაყვანისა და კეთებისა და სხვანი მრავალნი ამ გვარნი საქმენი. ახლა დღეს რომ ცალკე შეაჯგუფოს თავად-აზნაურობა, მიიღოს უპირატესობანი და განსაკუთრებული უფლებანი, მაშინ ეჭვი არ არის, წოდებრივი შფოთი და უთანხმოება უფრო გაძლიერდება, იმატებს და საერო და სათემო მმართველ-გამგეობის საქმე-კი მით არ განკარგდება. თუ იმას იტყვიან, რომ თავად-აზნაურობა უფრო ნასწავლია, განათლებულია, ზრდილია, მაშინ ბარემ ისა ვსთქვათ, რომ ყველა განათლებულს, ნასწავლსა, გამოცდილსა და ზრდილს მიეცეს უფლება და უპირატესობა, იმიტომ რომ არა-თავად-აზნაურთა შორისაც ბევრნი არიან ასეთნი ნასწავლნი და განათლებულნიო. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ბოლოს არსენიევმა სთქვა, რომ არავითარი საჭიროება არ არის, შეიცვალოს დღევანდელი საფუძველი საერო და სათემო დაწესებულებათა, მით უმეტეს, რომ ამ დაწესებულებათა ღირსებანი საკმაოდ დავინახეთ ჩვენცა და მთელმა ქვეყანამაც ამ ოცის წლის განმავლობაშიო (გაზ. «Рус. Вѣд.-ი»).

◆◆

# დეპეშა
28 მაისი

**პეტერბურგი.** გუშინ ხარკოვის სამსამართლო პალატა წოდებათა წარმომადგენელთა თანადასწრებით შეუდგა იმ უწესოების საქმის განხილვას, რომელიც მოხდა შარშან 8 აგვისტოს.

**ბრიუსელი.** პრინცს ვიქტორსა და ამის მამას ჟერომ ბონაპარტს შუა მორიგება ჩამოვარდა; ორივე უნდა წავიდნენ მენკოლიერში ნაპოლეონ მე-III-ს მეუღლესთან და აქ შეაერთებენ ორს ბონაპარტელთა დასს. ამ შეერთებულის დასის გამგებლად იქნება პრინცი ვიქტორი.

**ვენა.** წელს როგორც ბიუჯეტიდგან სჩანს, განზრახვა აქვთ ცამეტი ათასი გულდენი დახარჯონ მაგაზინის ყაიდის თოფების შესაძენად.

**ვენა.** ვენგრიელი ოპოზიციის მწერლობა ძალიან ჰკიცხავს ტისსას უკანასკნელის სიტყვისათვის. ბერლინში-კი ვენგრიის მთავრობის მოქმედებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; ბერლინიდგან მიუღიათ ამაზე ცნობა და აქ იმისი ეფიქრებათ, რომ ოპოზიციამ რუსეთის საწინააღმდეგო დემონსტრაცია არ მოახდინოს. სადიპლომატო წრეებში იმედი აქვთ, რომ გრაფ კალნოკის სიტყვას შეუძლიან შეამციროს ის შთაბეჭდილება, რომელიც ოპოზიციამ საზღვარ გარეთ მოახდინა, და დაამტკიცოს, რომ ავსტრიის მართებლობა მშვიდობიანობის მომხრეა.

**ბერლინი.** იმპერატორმა მიიღო თხოვნა პუტკამერისა, შინაგან საქმეთა მინისტრისა, სამსახურიდგან გადადგომის შესახებ და უბოძა ჰოგენცოლერნის „დიდი ჯვარის“ ორდენი.

**პეტერბურგი.** ხუთშაბათს დაბრუნდა მოსკოვიდგან უწმინდესის სინოდის ობერ პროკურორი.

სენატმა განიხილა საქმე ექიმის დრეიპელხერისა, რომელსაც აბრალებენ, რომ ავადმყოფი არ მიიღო საავადმყოფოში, და დაადგინა: განაჩენიც მსაჯულთა, რომლებმაც ბრალდებულს მიუსაჯეს არხანგელის გუბერნიაში გაგზავნა, დამტკიცებულ იქმნას; ხოლო განაჩენი ოლქის სასამართლოისა უარყოფილ იქმნას, რადგანაც სასამართლოს დაურღვევია 797 და 827 მუხლი კანონისა; საქმე უნდა გადაეცეს სხვა განყოფილებას იმავე სასამართლოისას. სასამართლოს მიეცეს შენიშვნა, რადგანაც თავის დროზე არ წარუდგინა სენატს ბრალდებულის საკასაციო საჩივარი.

„გზათა სამინისტროს ჟურნალი“ იუწყება, რომ დადგენილია შეუერთონ უმანი ფასტოვის რკინის გზას ერთის მხრით, და კაზატინს მეორეს მხრით, ხოლო მესამე მხრით-სამხრეთდასავლეთის რკინის გზის სადგურს ვაპნიარკას.

პეტერბურგის ბირჟაზე ტფილისისა და ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლებს გამოდევნი აფასებენ 98 მან., ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციები გაიყიდა 82 მანეთად.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მაისი

| | მყიდველნი მან. კ. | გამყიდველნი მან. კ. | გაყიდულნი მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 9 20 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 184½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 39 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 274 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 244¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
მაისი 31 დღით არის.

29 დღე კვირა. წამება თეოდოსიისა კონსტანტინეპოლიში. კათოლ. ევ. მაქსიმესი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰეჯრისა. 1-ლი დღე ორუჯ-ბაირამისა. მეჩეთებში ნამაზი აქვსთ. სამს დღეს არის ეს დღესასწაული. მუსულმანები ამ დღეს სამეჩითო გარდასახადს იხდიან. სუნიტები ორუჯ-ბაირამს საბატონიკო ბოლში დღესასწაულობენ. — ჭეშმარიტი შუადღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—34. მთვარე 2 დღისაა.

30 დღე ორშაბათი. ღირსისა ისაკ დალმათელისა. კათოლ. ფერდინანდისა. მუსულ. მე-2 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 3 დღისაა.

31 დღე სამშაბათი. მოციქ. ერმისა და ღირს. ერმიასი. კათოლ. ანჟელიკასი. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰეჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 4 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლე გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამხრეთიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მაისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მაისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, სამშაბათს, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
გაზეთ „მეურნის“ გამოცემა
### ვაზის ოზი
(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),
შედგენილი
პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით
გ. ს—შვილის მიერ.
ფასი ორი შაური.

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის ასანთისა
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნაღდად მყიდველთ ბევრი დავუთმობთ.
### ქარხანა
გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კო
ვერაზე, ტფილისის ქალაქში
(50—49)